№ 134

პარასკევი, 22 ივნისი, 1901 წ.

1877—1901

ივერია

№ 134

პარასკევი, 22 ივნისი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 134

პარასკევი, 22 ივნისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

საადგილმამულო ბანკი

საქართველოს სახელმწიფო ბანკი

ტფილისი

ადგილობრივი ბანკი

საადგილმამულო ბანკი

ადრესი ტელეგრამმისა: Тифлисъ „Фармацевтика“

№ 134 № 134 № 134 №

ბატონობა დაემკვიდრებინათ, აგერ ერთი საუკუნეა ოთხქმის სულს აღნიშნულის საქართველოს სამხედრო გზით ითქვამდნენ.

მთელს არაგვისა და თერგის ხეობის ქართველ მოხევეთ, რიცხვით 700-მდე კომლს (იხ. კორესპონდენცია „ივერიისა“ № 97 და „წერილი მთიულეთიდგან“ ა. ოგბაიძისა, „ივერიაე“ № 122—1901 წ.), მამული სრულიად მცირე მოსავალს აძლევს, ოთხიოდ-ხუთს დღიურზედ (ნახევარი კლდიანი და სახნავად გამოუსადეგარია) ვაი-ვაგლახით მონათესი ქერი და ქერ-ჭრელი ნახევარ წლის სარჩოთ არა ყოფნით; უმეტესობა ამიტომ შეუძლებელი და დაღარიბებულია და იძულებულია სასაზრდოოდ სამუშაო გარეთ ეძებოს, რომელსაც დღემდის საქართველოს სამხედრო გზა საკმაოდ აძლევდა. საქონლისა და ურმების ქირაობით, გზის შეკეთებით, თუ დაგვა-დაწმენდით, გზაზედ მეეტლეობითა, თუ მეჯინიბობითა და სხ. მოხევე სამუშაოს მუდამ შოულობდა და ბუნებრივს სიღარიბეს ნიადაგისასა და სიმკაცრეს ჰავისას, რომელიც ზამთრობით თოთქმის სამი-ოთხი თვეობით ხელ-ფეხს უკრავდა, არად იჩნევდა და ცხოვრებას, როგორც იყო, უძღვებოდა.

მაგრამ იცვალნენ პირობები და საქართველოს სამხედრო გზის გაუქმებით მოხევეს უმთავრესი წყარო ცხოვრებისა მოესპო. დალონებულ-დაძმარებულმა მოხევეებმა საქირავებელი ურმები და ცხენები მიჰყიდ-მოჰყიდეს, რადგანაც მათი შენახვა აღარ შეეძლოთ, გარეთ გასვლასა და გზათ სამსახურს ჩვეულნი თავისს მამა-პაპეულს მამულს დაუბრუნდნენ, მაგრამ მწირმა და მცირე მამულმა ვერაფერი ნუგეში ჰსცა, და უცბად ნივთიერმა გაჭირვებამ და ცხოვრების უსაღსრობამ 700 კომლს ქართველს ოჯახს სუღი შეჰხუთა. მოძრაობასა და ლაღობას (როგორც მთის შვილი) მიჩვეული, ნიჭიერი და მხნე მოხევე ასეთმა მოულოდნელმა გაჭირვებამ საგონებელში ჩააგდო: ცხოვრებამ ვიწრო, მიწის მუშის ფარგალში მოქცეული მისი შრომა აღარ იკმარა, საქონლისა და ცხვრის მოშენებასაც იმდენად მისდევდნენ მხოლოდ, რამდენადაც ამას მათი საკუთარი ოჯახური საჭიროება მოითხოვდა და მთა-საძოვარი ნებას აძლევდა; თუ არ დღიური უბრალო გზად მუშაობა და მეჯინიბობა, სხვა რამ ხელობა მან არ იცოდა; მაშასადამე, რა ექმნა და რა გზით ეშველა ამ გაჭირვებისათვის, აი რა აფიქრებდა მოხევეს! წასულიყო სადმე შორად და იქ ეძებნა სამუშაო, არ შეეძლო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მთასთან შეზრდილსა და მის ჰავასთან შეჩვეულს უცხო ნიადაგი ვერ ითვისებდა და მეორეც, ვერც თუ „გასცვლიდა სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა“... მესამე, რომ კიდევაც გარდაეწვიტნა—სამუშაოს აქეთ ვერა ჰპოვებდა, რადგანაც ჩვენის მეზობელ ხალხის მიერ ქალაქში მრავლად გადმორეკილმა იაფმა მუშამ ბაზარი მთლად დაიჭირა და არც-თუ მიუშვებდა ვინმე ფასებში მეტოქეობა გაეწია, და იქით ვერა ჰპოვებდა, რადგანაც შიდა რუსეთიდგან გადმოსახლებულ უმამულო რუსის გლეხებისათვისაც-კი საკმაო სამუშაო არ მოეძებნებათ.

ამგვარს გაჭირვებაში მყოფმა მოხევემ სხვა რომ ვეღარა იღონა-რა, ჯერ-ჯერობით თავისსავე საკუთარს ცხოვრებაში ჩაიხედა და მოიწადინა, თუ რამე მეტი ან სამძიმო ხარჯი აწვა, ეს როგორმე შეემცირებინა და მცირეოდენი შელავათი ამითი მაინც არის ეგრძნო. და აგერ, პირველად შეეხო იგი ხალხურს რწმენასა და ჩვეულებას, რომელიც მთიულისათვის წმიდათა-წმიდას, „რჯულთ-უმტკიცესს“ წესს შეადგენს და მოისურვა აქ, თავისსავე უფლებათა წრეში და თავისსავე ოჯახობაში, მოეხდინა ცვლილება: გაჭირვების ლისათვის, იმიტომ რომ სიკეთე მოგვწონს, იმის მიმართ მიეილტვით. ჩვენი გატაცება კეთილით, ჭეშმარიტებით და სიმშვენივრით არ შეიძლება ახსნილ იქმნას იმ მოსაზრებით, რომ იგი შედეგია მრავალ, ჩამომავლობათა მიერ გამოცდილებით შეგროვებულ, სასიამოვნო შეგრძნებათა, რომელიც ამა თუ იმ საქციელთანაა შეერთებული. ამით ჩვენს უანგარო ვა აცებას, ჩვენს უმხურვალესს მისწრაფებას სიმშვენიერისა, სიკეთისა და ჭეშმარიტების მიმართ ნიადაგს ვუსპობთ. ამ შემთხვევაში ჩვენი გონებაც და ჩვენი ნებაც იქითკენ გაიწევს, სადაც იმას მოელის სარგებლობა, სიამოვნება, ამით-კი მათის მიმართულების და მოქმედების უანგაროო, უმწიკვლო ხასიათი შეიცვლება... არავინ არ უარჰოფს იმას, რომ ზნეობითის ვალის შესრულება ადამიანის გულს სიამოვნების შუქს ჰფენს. მაგრამ ხშირად, ძლიერ ხშირად ადამიანი საზოგადო სიკეთის გულისთვის თავს გასწირავს და, სიხარულის, სიამოვნების ნაცვლად, იგემებს უსიამოვნებას, ტანჯვას და უდროოდ სიკვდილსაც. ამ შემთხვევაშა ადამიანი შვრება სიკეთეს თვით სიკეთის გულისათვის, თუნდა ამისათვის უსიამოვნება და უბედურებაც მოელოდეს. ეტვს გარეშეა ის გარემოება, რომ ხშირად მოვალეობის შესრულებას მოსდევს სასიამოვნო შედეგი; მაგრამ თუ ჩვენ ამ მოვალეობას აღვასრულებთ მხოლოდ იმისთვის, რომ საზოგადოების მხრით პატივისცემა, დიდება, ან ნივთიერი სარგებლობა მოვიპოვოთ, ჩვენი საქციელი, ჩვენი მოქმედება ჰკარგავს ზნეობითს ხასიათსა და, ზოგიერთთა აზრით, უზნეო მოქმედებადაც გადაიქცევა. ზნეობითი მოვალეობა, შესრულებული იმ მიზნით, რომ ამ შესრულებამ ადამიანს მისცეს სიამოვნება, ნამდვილს ზნეობითს ხასიათს ჰკარგავს: ამ შემთხვევაში ადამიანი ემსგავსება იმ ვაჭარს, რომელიც კაი საქონელს ჰყიდის მხოლოდ იმის გულისთვის, რომ დიდი სარგებლობა ნახოს. თვით ბიოლოგიაზედ და ფსიხოლოგიაზედ დამყარებული მეცნიერება ზნეობის შესახებ იმ აზრისაა, რომ მისი საძირკველი ღრმადაა ადამიანის სულიერს ბუნებაში ჩაერგილი. წერილის ავტორის აზრით, ბერდიაევი უცქერის ისტორიას, როგორც ისეთს მოვლენას, რომელიც მილტვის გონიერის, ჰარმონიულის დაბოლოების მიმართ, მაგრამ ამასთანავე შეკავშირებულია ეკონომიურს საკითხებთან. ისტორია, იმისი აზრით, ბრძოლაა ადამიანისა ბუნებასთან და ადამიანისა ადამიანთან. ეს ბრძოლა ხდება ეკონომიურს ნიადაგზედ... მაგრამ ამასთან ერთად ისტორია წინსვლაა, ესე იგი მიახლოვებაა იდეალურ, დამოუკიდებელს მიზანთან. ეს ორი შეხედულება ისტორიულს მოვლენათა ზედა ერთ დროებიად და ერთად არსებობს თვითოეულს ისტორიულს ეპოქაში და მკვლევარს თანასწორად უნდა ჰქონდეს სახეში იმის გამოკვლევის დროს. ერთხელ და იმავე დროს ისტორია ეკონომიურ ბრძოლის შედეგიცაა და იდეალურისაც. ეკონომიურს ბრძოლას სახეში აქვს მოახლოება ზნეობითის საზოგადოებრივის წეს-წყობილებისა. ეკონომიური წინსვლა უპირველეს ყოვლისა სულიერი მოქმედებაა, განსაკუთრებულ სატრფიალო საგნის მქონებელი; ეკონომიური ძალნი არ შეადგენენ ისეთს მოვლენას, რომელიც თვისს შინაგან ძალთა გან განვითარდება. ბ-ნ ბერდიაევს სჯერა, რომ არსებობს დამოუკიდებელი, უეპველად ზნეობითი მიზანი, რომლის მიმართ მილტვის კაცობრიობა თავისს განვითარებაში. წერილის ავტორი ბრძანებს: „მარქსიზმი არაა მეცნიერული თეორია. ამ თეორიას აქვს ისტორიულის და სოციალურის მსვლელობის შესახებ ფრიად მარტივი და მექანიკური წარმოდგენა. ამის გამო მან დაჰკარგა შეძლება იდეათა და იდეალების წარმოშობის და მნიშვნელობის შეგნებისა. კაცობრიობამ უნდა გააფართოვოს თვისის ცოდნის მოედანი და მიაღწიოს ისეთს საზოგადოებრივს თეორიას, რომელიც უნდა შეეხებოდეს ადამიანთა ცხოვრების ყოველს მხარეს, როგორც იდეალურს, ისე ეკონომიურს. ამ თეორიის საფუძვლიანად შემუშავება შეიძლება მოხდენილ იქმნას ფსიხიოლოგიის და ბიოლოგიის შესწავლის შემდეგ“.

აქედგან ცხადად სჩანს, რომ მარქსის სწავლა-მოძღვრება ცალმხრივია და მას არ შეუძლია განმარტოს სავსებით და სისრულით რთული და დიადი მსვლელობა კაცობრიობის ისტორიულის ცხოვრებისა. ამ ცხოვრებაში ბევრი მოვლენაა, რომელთა ხსნა-განმარტება არ შეიძლება მოხდენილ იქნას მარტოოდენ ეკონომიურის მიზეზებით. ასეთს მოვლენათა რიცხვს ეკუთვნის იდეალები და იდეიები, სულიერის ბასიათის საგნები, რომელთ ასახსნელად საჭიროა უფრო ვრცელი და საფუძვლიანი თეორია და არა ცალმხრივი სწავლა მარქსისა, თეორია, დამყარებული ფსიხიოლოგიასა და ბიოლოგიაზედ...

ამას ნათლად ჰგრძნობენ თვით მარქსისტები რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში და ამის გამო ისინი სცდილობენ თავისი მოძღვრება კანტის ფილოსოფიას დაუახლოვონ და მით თავიდგან მოიშორონ ცალმხრივობა თვისის სწავლისა. აუცილებელ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს ამ ბოლოს დროს გავრცელებული აზრი, რომ აწინდელ დროს კაცობრიობის ნივთიერ, ეკონომიურ ინტერესებით და სწავლით გატაცებას უსათუოდ მოჰყვება გამეფება იდეალურ ინტერესებისა, რომლის მიმართ ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიილტვის მსოფლიო ჭკუა-გონება იმის და მიუხედავად, რას იტყვიან ამის შესახებ მარქსის სწავლის მოციქულნი, ესოდენ დაღონებულნი ამ სწავლის ცალმხრივობით და არა მეცნიერულის ხასიათით.

ფარი

მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა იმპერატორის ალექსანდრე მე-III მე-68 ლეიბ-ბოროდინის ქვეითა რაზმის პოლუჩიკი თავ. ლოროთ-ქიფანიძე მე 79 კურინის დიდის მთავრის პავლე ალექსანდრის ძის რაზმში.

ახალი ამბავი

*** ქუთაისის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა ქუთაისში საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ ადგილობრივს ქალაქის საქმეთა საკრებულოს არ შეუწყნარებია. მიზეზად ისაა დასახელებული, რომ შორეულ აღმოსავლეთში ატეხილ ომისა გამო ხაზინას არ შეუძლიან ამ საქმეს ფულად დახმარება აღმოუჩინოსო.

*** როგორც შევიტყეთ, ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ე. ლ. ვედენეევი ამ თვის ბამლევს საზღვარ-გარეთ მიემგზავრება.

*** დღეს, 22 ივნისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში, საღამოს 8 საათზედ, რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა კრება მოხდება; კრებამ უნდა მოახდინოს არჩევანი განყოფილების გამგეობის წევრებისა და გამგეობის თავმჯდომარისა მომავალ სამი წლისათვის. ამავე კრებაზედ ინჟენერი კარაპეტოვი განგრძობს კითხვას თავის წერილისას სახლებისა, ქუჩებისა და მოედნების განათების შესახებ.

*** ქალაქის ხარჯით დაარსებულს მამა-დავითის სკოლას, როგორც ამ სკოლის გამგის ბ-ნის აღნიაშვილის მიერ ქალაქის გამგეობაში წარდგენილ ხარჯთ-აღრიცხვიდგან სჩანს, მომავალის 1902 წლის განმავლობაში ხარჯი ექმნება სულ 4,283 მან.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის კანყოფილები დღეს, 22 ივნისის სხდომაზედ, სხვათა შორის, განიხილავს საქმეს ტფილისის მცხოვრების ეგგარტის კრუაცევისას, რომელსაც ბრალდება ვითომც სამხედრო სამსახურში გაწვევის თავიდგან ასაცილებლად თავი განგებ დაემახინჯებინოს,—საქმეს ცხინვალის ნაწილის მცხოვრებ ჯეირანიშვილისას, რომელიც ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლეს უჩივის, რომ ჩემის საქმის დროზედ განხილვას აგვიანებსო და სხვანი. სასამართლოში სულ განსახილველად დანიშნულია ათამდე საქმე.

*** კავკასიის უმაღლეს მთავრობას შეუწყნარებია ტფილისის საგუბერნიო მთავრობის მიერ აღძრული შუამდგომლობა სიღნაღის მაზრის სოფელ ქედში გაჩენილ კალიის მოსასპობლად დამატებითის ფულის გადადების შესახებ.

*** ყარსის გზაზედ, სოღანლუღის სადგურზედ მომხდარ უბედურებამ, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, მამა-შვილი იმსხვერპლა: მამა მძიმედ დაშავდა, შვილი-კი მოკვდა. გვარად ეს მამაშვილი ახალაშვილები ყოფილან. მამა ახტალაში ალავერდის ქარხანაში მჭედლად იყო.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის წლიურ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ გასულ წელს კავკასიაში სულ 1406 სასწავლებელი ყოფილა ისეთი, სადაც სწავლა რუსულს ენაზედ სწარმოებს და 215, სადაც სწავლა სწარმოებს რუსულს ენაზედ ადგილობრივ ენების დახმარებით, ისეთი სასწავლებელი, სადაც სწავლა ადგილობრივს ენებზედ სწარმოებდეს, ამ ჟამად სულ არ არის; 20 წლის წინად-კი ასეთი სკოლები საზოგადო რიცხვის $^1/_6$-ს შეადგენდნენ.

*** ქუთაისის საგუბერნიო მთავრობას ნება დაურთავს დაბა ხონის საქალაქო სასწავლებლის შეუძლებელ მოხწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების დაარსებისა. საზოგადოების წესდება უკვე შეუდგენიათ.

*** 19 ივნისს ბათუმში, იმის მახლობლად და გურიაში საშინელი სეტყვა და ნიაღვარი მოსულა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც დიდი ზარალი მიუყენებია მცხოვრებთათვის.

** ქალაქის მიწის მზომელს ლარიონოვს წარუდგენია მოხსენება ქალაქის გამგეობისათვის ქალაქის განაპირა ადგილების: 1, 7, 10 საპოლიციო ნაწილების გამიჯვნისა და მოწესრიგების შესახებ, რადგანაც ამ ადგილებში ქალაქი თანდათან იზრდება და სახლები შენდება. ამ საქმისათვის საჭიროა 2,300 მან.

** ქალაქის ტეხნიკოსს ზურაბიანცს წარუდგენია ვამგეობისათვის ხარჯთ-აღრიცხვა და პირობანი სოლოლაკში ორლოვის ქუჩაზედ გასამგრებელ კედლის აგებისა, მოკირწყვლისა და მოწყობისა.

** ტფილისის საგუბერნიო მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს საერობო თანხიდგან 4,571 მან. 42 კაპ. გადადების შესახებ ტფილისის „ბოგოდელნიის“ საჭიროებათათვის.

** ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გამგეობას შუამდგომლობა აღუძრავს ქალაქის გამგეობის წინაშე ინჟენერთა ქუჩაზედ საჭირო ადგილის დათმობის შესახებ პირუტყვთა სამკურნალოსათვის ორ-სართულიან შენობის ასაგებად.

** როგორც „კავკაზს“ ქუთაისიდგან დეპეშით ატყობინებენ, ქუთაისსა და ონს შუა ნიადგრისაგან გაფუჭებული გზა შეუკეთებიათ.

** ამ რამდენისამე ხნის წინად პოლიციის მე-5 ნაწილში მცხოვრებ გუმბრელ ტობჩიბიანცისათვის ვიღაც ბოროტგანმზრახველს ოქროს ბეჭდები და სხვა ნივთები მოუპარავს სულ 90 მანეთისა; კარგა ხნის ძებნის შემდეგ ბოროტ-მოქმედი დაუჭერიათ სწორედ იმ დროს, როდესაც მას ოქრომჭედელთან 17 ივნისს ოქროს ბეჭედი მიუტანია მისასყიდლად; პოლიციის მოხელეს რომ ეს შეუმჩნევია, ბეჭედი ტობჩიბიანცისათვის უჩვენებია, რომელსაც იგი თავისს ნივთად უცვნია. ბეჭდის ქურდი გუმბრის მაზრის მცხოვრები კარაპეტ ტიგრანიანცი გამოდგა, რომელიც პოლიციამ უკვე დაუპატიმრა. გამოძიება სწარმოებს.

** როგორც ბათუმიდგან გვატყობინებენ, 21 ივნისს ლიანდაგზედ მიმავალს მეისრეს ნიკ. ტყებუჩავას წამოეწია საქონლის სადგურიდგან დაძრული მატარებელი № 4 და ხელ-ფეხი დაუშავა.

** ქალიქის ლაბორატორიაში ამ უამად ადგილობრივ ქარხნების ლუდს იკვლევენ.

КАВКАСИИСЪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲜᲐ.

გამოფენის მოწყობის საქმე დღითი-დღე წინ მიდის. მთავარი შენობა თითქმის მზადაა; ეხლა ასფალტს აგებენ. ყოველ დღე ასს კაცამდე მუშაობს იქ. კერძო კაცნიც აშენებენ თავიანთ პავილიონებს. აზრადა აქვთ გამოფენა 20 აგვისტოს გახსნან. პროვინციებიდგან ექსპონატებს უკვე ჰგზავნიან. ჯერ-ჯეროობით ამ ექსპონატებს საბაღოსნო სკოლის ოთახში აწყობენ. პავილიონების ასამართავად ადგილები თითქმის ყველ დარიგებულია. ეხლა განცხადებებს იმათგანღა ილებენ, ვინც ექსპონატებისათვის ადგილს უკვე დაეკუთვნა შენობებში თხოულობენ. განცხადებანი 15 ივლისამდე მიიღება.

—

ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოებას განზრახული აქვს მომავალ გამოფენაზედ წარადგინოს მოდელი მთაწმინდის იმ ადგილისა, სადაც ფუნიკულერი იქმნება გაყვანილი. ამ მოდელზედ აღნიშნული იქმნება ფუნიკულერის გზა თავისი ადგურებით.

19 ივნისს სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს დაუდგენია დაბეჭდოს ისტორია ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო დაწესებულებათა დაარსება-განვითარებისა ამ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში. ისტორიას თან დართული ექმნება კარტოგრამები, დიაგრამები და სხვ. ამ გამოცემის დაბეჭდვას დასჭირდება 500 მან., რომლის გადადების შესახებ საბჭო შუამდგომლობს ქალაქის გამგეობის წინაშე.

—

პირუტყვთა მფარველ ტფილისის საზოგადოების გამგეობამ გუშინ, 21 ივნისს, შეატყობინა კავკასიის გამოფენის კომისარს, რომ, რადგანაც პირუტყვთა მფარველი საზოგადოება ამ ჟამად საბეითალო სამკურნალოს შენობის აგებას შეუდგა, ამიტომ მას შეძლება არ ექნება კავკასიის გამოფენის გამართვის საქმეში რაიმე აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

—

კავკასიის გამოფენის უმთავრესმა კომიტეტმა გამოფენის საექსპერტო კომისიის წევრთა არჩევანი 27 ივნისისათვის დანიშნა.

—

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში დღეს, 22 ივნისს, სამოქალაქო ინჟინერ-ტეხნიკოსების სხდომა მოხდება, რომელთაც უნდა განიხილონ, თუ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის სატეხნიკო განყოფილების მოწყობა-მართვის დროს მათი მონაწილეობა რაში უნდა გამოიხატოს.

—

რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოებამ კავკასიის გამოფენაზედ წარდგენილ საუკეთესო ექსპონატების დასაჯილდოებლად ერთი დიდი, 2 საშუალო და 2 პატარა ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი და სამი ქების ფურცელი დაინიშნა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲮᲔᲕᲘᲓᲒᲐᲜ

ᲮᲔᲕᲘ. წარსულ მარტის პირველს სოფ. სტეფანწმინდაში მთლად ხევის ერიდობა მოხდა. საგრად ქორწილებისა და ქელეხების ხარჯის შემცირება ჭქონდათ. ვინ იცის, კიდევ სადამდის გასტანდა ეს ხალხის ცუდ-უბრალოდ გამაფლეკებელი და დამდუშავი ჩვეულება, რომ საქართველოს სამხედრო გზაზედ მოხეველთათვის მუშაობა და ქირის ზიდვა არ მოსწონიეო. დავინახეთ მოხეველებმა, რომ ამ გზაზედ ხევში მომწყვდეულთ გამორჩენა აღარსაიდგანა გვაქვს და უშოვნელობა-უქონელობამ „რჯულთ-უმტკიცესი ჩვეულების“ შეცვლა გვაფიქრებინა. არა მგონია საქართველოს რომელსამე სხვა კუთხეში ისეთი დიდი ხარჯები იცოდნენ ქორწილსა და ქელეხში, როგორც ხევში. ხევში, როგორც საქართველოს განპირა კუთხეში, ქართველურს ჩვეულებასა და წესს ფეხი ვერ მოუკიდნია და მოხევეთ იმ ხალხთა წეს-რიგი და ჩვეულება შეუთვისებიათ, რომელნიც მათ გარს არტყია. ესენი გახლავთ ქისტები და ოსები. მართალია, ეროვნულ და სამკვდრო ხარჯებზედ ძალიან ბევრი დაწერილა „ივერიაში“, მაგრამ უსარგებლო არ იქმნება კვიხსენოთ ამ ახალის გარდაწყვეტილებით ხალხს რა შეღავათი მიეცა. საჭირო ამისათვის ეს ძველი ჩვეულება და წესი ერთხელ კიდევ გავუმეოროთ მკითხველს. დავიწყოთ ქალის გათხოვებიდგან:

1) ქალს რომ გაათხოვებდნენ, სასიძო ქალის პატრონს „ნიშანს“ (ნიშანს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რაც საქონლის გასყიდვაში ბეს) 5—15 მან. აძლევდა და ამაგე დღეს ვაჟის პატრონიც და ქალისაცა თავ-თავისს სახლში დიდის ხარჯით „კრეს“ ნიშნობას იხდიდნენ. ეხლა-კი, ახალის წესით, ნიშანი 3 მან. არ უნდა აღემატებოდეს და არასთერი ხარჯი არ უნდა გასწიონ არც ქალის პატრონმა და არც ვაჟისამ. წინასწარმდეგს შემთხვევაში სასოფლო საზოგადოების სასარგებლოდ 10 მან. ჯარიმას გადაიხდიან, რაც ხალხის საჭიროებას უნდა მოეხმარდეს.

2) დანიშვნადგან მე-2—6 თვეზედ სიძე მივიდოდა ცოლეურთსა და თან 3—6 ვედრო არაყს მიიტანდა, 100—200 წყინდა თქვილისაგან გამოცხვარს ხმიანდასა (ბურს) და 1/2 ფუთს ეფეულს. ქალის პატრონიც დაიპატიჟებდა ეფეულ მეზობლებს, მოკეთეებს, სიძისაგან მოტანილი სასმელ-საჭმელით პატივსა სცემდა და ახალ დანიშნულთ დალოცვინებდა. ამას „სასიძოდ მოსვლა“ ჭქვიან. ახალის წესით, სასიძოდ-მისვლაში სიძემ მხოლოდ 1 ვედრო არაყი უნდა მიეტანოს, 30 ბური და 10 გირ. ეფეული, თუ მეტი მიეტანა, საზოგადოებისაგე სასარგებლოდ 10 მან. ჯარიმას გადიხდის.

3) ქალის პატრონს ურვადში 80—200 მან. აძლევდნენ; ეხლა-კი 50 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს ქალში და 25 მან. ნაქერიგალში. ვინც მეტს ურგულს გაიღებს, ან აღებს, 50 მან. ჯარიმას გადაიხდის. (ეფეულ ჯარიმა ხალხის (მოხეველების) სასარგებლოდ იქმნება გადადებული).

4) ჩვეულებად იყო ჩვენში, ვინც ქვრივს შეირთავდა, ძველნი ქმრეულნი ქვრივისანნი შემრთველს უმტრობდნენ და მტრობა ზოგჯერ სიკვდილით ბოლოვდებოდა. ახალის წესით, ეს ჩვეულება სრულიად უნდა მოსპობილ იქმნას და დამრდვევი ამ წესისა დაჯარიმდეს 10 მან. და გარდა ამისა, დასასჯელად გარდაეცეს სასამართლოს.

5) წინედ დანიშნულთაგანნი, ქალი ან ვაჟი თუ ჯვრის-წერამდე ერთი მეორეს დაიწუნებდნენ, მძახლებს შორის დიდი შეფოთი და მტრობა ჩამოვარდებოდა. ახალის წესით, თუ ერთმა მეორე დაიწუნა არა საკურადღებო მიზეზით, დამწუნებელმა 50 მან. უნდა გადაიხადოს დაწუნებულის სასარგებლოდ და 50 მან. ჯარიმა სასოფლო საზოგადოების სასარგებლოდ და ამით საქმე საბოლოოდ გათავდება.

6) ვინც ძველის წესით იეგენენ დანიშნულნი ამ პირობის დადგენამდე, თუ მათ ჯვარი არ დაუწერიათ, ურვადი და ეოველდგვარი ხარჯი ახალის წესით უნდა გარდაიხადონ. წინასწარმდეგს შემთხვევაში 50 მან. დაჯარიმდებიან.

7) ქალის პატრონს წინედ ვალათ ედო ქალის გათხოვების ერთი-ორი თვის შემდეგ თავისი მეზობლები, კეთილის მეოფლები და ორი საპატიო კაცი მოეწვია თავისს მძახლთაგანი, დაეკვლა ცხვარი, 2—4 ვედრო არაყი ეყიდნა, ან შინ კამოეხადა, ბური, ეფეული, ხაჭაპური და სხვა ხარჯი გაეწია და სტუმრებს დაჭხვედროდა. ამას ჭქვიან „მთხოვართ მირეკა“. მთხოვართ მირეკა ეხლა სრულიად მოსპო ხალხმა და ვინც კიდევ გაჭბედავს, 10 მან. ჯარიმა გადაჭხდება.

8) ცოლეურნი მოვალენი იეგენენ სიძისათვის ერთი ხელი ტანისამოსი შეეკერათ, ხოლო სიძე 2 მან. დასასჩუქრებლა სიდედრს. ახალი წესით, არც სიძეს უნდა შეუკერონ ტანისამოსი და აღარც სიძემ უნდა დასასჩუქროს სიდედრი. თუ არ დაიშალეს, ორივენი ხუთ-ხუთ მანეთით დაჯარიმდებიან.

9) ეფეულ მოკეთე კაციც და დედაკაციც, ვალდებული იყო თავისს ნათესავის საცოლე ჯვრის დაწერამდე 20 კაპ.—5 მან. დასასჩუქრებისა ან ფეულით, ან ტანისამოსით. დასასჩუქრებულს ქალსაც უთუოდ სასჩუქრადვე უნდა მეტანა, როცა მიიეგანდნენ, ეფეულ დამსასჩუქრებლებისათვის ზოგისთვის ჩოხა, ზოგისთვის ახალუხი, წუდა-მესტი, ქისა, საპერანგე და სხვა ამისთანები. ვინ, იმ სასძლოს, რომელიც სასჩუქრისათვის სასჩუქარს წესიერად ვერ შეეფერებდა! სამდურავი დედოფლობას ცუდად ჩაუმწარებდა.—„ერთი მანეთით დავნიშნე (დავასასჩუქრე) და ხ—რი მოამიტანა“, ან-და: „2 მანეთით დავნიშნე და ქისა მოამიტანა“ და სხ. ამასობაში პატივისცემა და სასჩუქრები მოკეთეთა შორის მტრობასა და უსიამოვნებასა ჭბადებდნენ. ამიტომ სასჩუქრები მოსპეს და, თუ ვინმე კიდევ დასასჩუქრებს, დამსასჩუქრებელიც და დასასჩუქრებულიც ხუთ-ხუთ მანეთს ჯარიმას გარდიხდიან.

10) ქორწილის წინა დღეს მეფე მოვალე იყო თავისს ცოლეურთათვის 2 ცხვარი და არაყი მიეცა, არა ნაკლებ 1 ვედროსი, ხოლო ქალის პატრონს ეს არაყი და საკვლავები ქალის ქორწილში უნდა დაეხარჯა. ქალის პატრონს თავისი შინაური არაყი რომ უფრო ცოტა დაჭხარჯოდა, მეფეს ებარებოდა:—არაყი ცოტა მოგიტანიაო... და ეს უბრალო საქმეც ზოგჯერ ერთს აურ-ზაურსა და ლაი-ლარაბას იწვევდა ხოლმე. ამის ასაცილებლად ახალს განაჩენში არაყი სრულიად მოჭსპეს.

11) მაყრები ხშირად მეფესა ან დედოფალს იმდენნი კაჰყვებოდნენ ხოლმე, რომ რიცხვით ქორწილში მოწვეულს ხალხს სჭარბობდნენ და ზოგიერთს შეუძლო ოჯახიშვილს (რაც ხევში ბევრია), მოუდოდნელად ამდენი მაყრების თავდასხმა და გამასპინძლება უკანასკნელს დღეში აგდებდა. ახალის წესით, მაყრები მეფის მხრივ, მეფე-ეჯიფეს გარდა, 5 მეტი არ შეიძლება და დედოფლის მხრივაც ამდენივე. ბირის გამტეხს ჯარიმათ 5 მან. გარდახდება სოფლის საზოგადოებისაგე სასარგებლოდ.

12) მეჯვარე ვალდებული იყო ჯვარის დაწერის მეორე დღეს მეფე, მაყრები და სტუმრები თავისს სახლში დაპატიჟეს და კარგად გამასპინძლებოდა. დედოფალიც ვალდებული იყო მეჯვარისათვის მამის სახლიდგან სასჩუქრად ერთი ბუმბულის ბალიში, ერთი ქვეშსაგები ნაბადი, წუდა-მესტები და ახალუხი ან ჩოხა მიეტანა. ურიდობის დადგენილებით, მეჯვარეცა და დედოფალიც ამ ხარჯებისაგან თავისუფალნი არიან; თუ რომელმამე ეს გარდაწყვეტილება დაარღვია, 10 მანეთით დაჯარიმდება.

(დასასრული იქნება)

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲗᲘᲓᲒᲐᲜ

(დასასრული *)

20, საკირე, 50 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

21, ტაძარისი, 30 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

22, ტატალისი, 11 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

23, ტყემლანა, 4 კომლი, მართლ-მად. ქართ. მოდაპ.,

24, ტობა, 9 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

25: ტოლოში, 24 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

26, უდე, 180 კომლი, ქართველი კათოლიკენი, ქართ, მოდაპ.,

27, წრიოხი, 2, კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

28, ქობარეთი, 36 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

29, ერკოტა, 40 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

ამ სოფლით ოვდება ახალციხის მაზრის სოფლები და დაიწყება ახალქალაქის მაზრის სოფლები, მაგალითებრ:

30, სარო, 65 კომლი, მართლ-მად., მართ. მოდაპ.,

31, ხიზაბავრა, 180 კომ., მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

32, ვარგავი, 12 კომ., ქართ. კათოლიკე და მართლ-მადიდ., ქართ. მოდაპ.,

33, თოკი, 14 კომ., მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

34, ვარევანი. 20 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

35, კოთელია, 85 კომ., მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

36 ბარალეთი, 60 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

37, აზავრეთი, 3 კომლი, მართლ-მად., ქართ, მოდაპ.

38, ბალანთა, 26 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.;

39, ქიხარულა, 27 კომ., მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

40, ხუმვრისი, 4 კომლი, ახალი მოსათლულები, მართლ-მად., ქართ. მოდაპარაკენი,

41, ბურჯახეთი, 14 კომ., მართლ-მად., ქართ. მოდაპ.:

42, ახალქალაქში, 10 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,;

43, ბრტენა, 36 კომლი, მართლ-მად., ქართ, მოდაპ.;

44, ჩუნჩხა, 45 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.;

45, ქილდა, 65 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

46, გოგაშენი, 60 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.,

47, აფნია, 25 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.;

48, მუსხი, 70 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოდაპ.;

49, რაბათი, ახალციხის ძველი ნაწილი, 65 კომლი, მართლ-მად., ქართ. კათ. 300 კომლი.

50, აბასთუმანი, 20 კომ., ქართ. მართლ-მად. და ქართ. კათოლიკენი, ქართ. მოდაპ.;

51, კარტიკანი, 150 კომლი ქართველი კათოლიკენი, ქართული ენა დაკარგეს;

52, ხულგუმო, 25 კომლი, ქართ. კათოლიკენი, ქართული ენა დაჭკარგეს;

53, ბაერა, 20 კომლი, ქართ. კათოლ. ქართული ენა დაჭკარგეს;

54, ეშტია, 200 კომლი, ქართვ. კათოლიკენი, ქართული ენ დაჭკარგეს;

55, ტურცხი, 40 კომლი, ქართ. კათ., ქართული ენა დაჭკარგეს, ძრიელ მცირე რიცხვს-კი ისევ ახსოვს ქართული ენა.

აი, სულ ეს სოფლები და მასში მცხოვრები ქართველები გახლავან დღეს იმ ქართველთა შთამომავლნი, რომელთა წინაპარნიც ადრე ოსმალეთის მთავრობამ ძალით გაათათრა. ამათში არსებობს ქართული ენა 350 სოფელში უმეტესად ქართველთა გვარის მაჰმადიანები სცხოვრობენ, ამათში ქართული ენა დამხობილია, ქალი, კაცი თუ ბავშ-

*) იხ. „ივერია“, № 133.

ვი სულ თათრულად დაბარაკობენ. ზოგს სოფელში-კი იცავენ ქართული, მაგრამ იქაც მოსხობის გზაზეა დამდგარი თათრის სიტყვებისა, საფიზებისა და მოდების მეოხებით.

ზემოდ ჩამოთვლილ ქართველთა მეტატონეებად უცხო ტომის კაცნი ირიცხებიან, გვარ-ტომობითი კარჩვეა აქვთ. ამის გამო ქართველებს სდევნიან, ერეკებიან, საჩივარს უტეხენ და უფრო ეთვ თასად თავიანთ მოსათესავე და მერჯულეებს ასახლებენ. რამდენიმე ქართველი სოფელი ასეთის ბრძოლას შეგვე გადაჭყვა თან და მთლად გადატაკდა. ასეთია სოფ. არალი, ხიზაბავრა და სხვანი.

ხ. კ.

რუსეთი

მომავალ შემოდგომისათვის დანიშნულ რკინის გზის წარმომადგენელთა კრებაზედ განსახილველად შეტანილ საქმეთა შორის გზათა მინისტრის ბრძანებით დიდი ყურადღება მიექცევა რკინის გზათა სახელოსნოების გაუმჯობესობის საქმეს, მაგალითად: სახელოსნოების შინაგან მოწყობას და კარგად შენახვას, მუშებსა და ხელოსნებზედ მეთვალყურეობას და მათის ყოფამდგომარეობის გაუმჯობესობას, ხელოსნების შეგირდთა შრომის მოწეს-რიგებას და ზეინკალთა ამორჩევას მაშინისტთა თანაშემწეებად, ახალ იარაღთა და ახალ ღონისძიებათა შემოღებას მუშაობის საქმეში, შრომის ფასს და სხვანი.

— განშრახვა აქვთ რკინის გზის სატეხნიკო მოსაწსახურეთათვის დაარსონ მოკლე ვადიანი პრაქტიკული კურსები.

— 13 ივნიის პეტერბურგის მახლობლად ტარხოვსკის სადგურთან, ზღვის ყურეში დამხრჩვალა სამი ქალი. ეს ქალები უმაღლეს სამკურნალო კურსებზედ სწავლობდნენ თურმე და საავარაკოდ წასულან ზემოხსენებულ ადგილში, წყალში ჩასულან საბანაოდ, ღრმა ადგილას ჩავარდნილან და დამხრჩვალან. ამ დამხვრჩალთაგან ვერა და ელენე კლიშევები ერთს ქარხანაში მოსამსახურე გადაყენებულ შტაბს-კაბიტნის ქალები ყოფილან და ერთიც ალ. კალინი პეტერბურგელ ხელოსნის ქალია.

— პეტერბურგში არსდება ახალი საზოგადოება. საზოგადოებას საგანად ის ექნება, რომ იაფ-ფასიანი სადგომები მოუპოვოს მოსწავლე ახალგაზდობას. ეს ახალი საზოგადოება მოქმედებას მომავალ სამოსწავლო წლიდგან შეუდგება.

— ხელმწიფე იმპერატორმა კეთილინება და შეიწყნარა გელსინგფორსის უნივერსიტეტის (ფინლიანდიაში) მთავრობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ამ უნივერსიტეტში შესასვლელად ქალებს ისეთივე უფლებანი მიენიჭოთ, როგორც კაცებსა აქვთ. დღემდე უნივერსიტეტში შემსვლელ ქალს ყოველთვის ვიცე-კანცლერისაგან უნდა აეღო ნება-რთვა, დღეს შემდეგ-კი ეს საჭირო ალარ იქნება.

— „Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილია შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი საქველმოქმედო ლატარიათა გამართვის ნება-დართვის შესახებ. ამ ცირკულიარის ძალით ზოგიერთ საქველმოქმედო საზოგადოებათ ნება მიეცემათ გამართონ ხოლმე ლატარიები. როგორც ვუწყით, ეს რამდენიმე წელიწადია, ლატარიები აღკრძალულია.

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

როგორც ტრანსვაალში მომქმედ ირდანდიელთა რაზმის უფროსი პოლკოვნიკი ლინჩი ანგარიშობს, ომის დაწყებიდგან დღემდის სამხრეთს აფრიკაში ინგლისს 349,000 კაცი გაუგზავნია; ამათგან 90,000 დახოცილა, დაჭრილა და, როგორც ომისათვის გამოუსადეგარი, უკუქცეულა. მაშასადამე, სამხრეთს აფრიკაში ამ ჟამად კიდევ უნდა ჰყავანდეთ, სულ ცოტა, 259,000 კაცი, და აი, ასეთი ძლიერი მხედრობა ერთი მუჭა ბურების საბოლოოდ დამორჩილებას კიდევ ვერ ახერხებსო!

— გენერალის დეგეტის რაზმში ნამსახური ოფიცერი ვან-დერ-დოო, რომელიც ელანდფონტეინთან მოამხდარს ბრძოლაში იქმნა მძიმედ დაჭრილი, აი, რას მოგვითხრობს ბურების შესახებ:

„დეგეტი ნამდვილი მეორე ანნიბალია, მაგრამ ანნიბალი, რომელმაც უთუოდ უნდა გაიმარჯოს; ტრანსვაალი არ დაეცემა, მაგრამ არც ომი გასტანს დიდხანსა: შემცდარნი არიან ისინი, ვინც თქვრობს, ომი თხუთმეტსა და ოცს წელს გასტანსო. ძალიან ვეჭვობ, რომ ინგლისელებმა, რომლებიც უთუოდ პირველნი განაცხადებენ შერიგების სურვილს, თექვსმეტსა ან ათს თვეს კიდევ თავი იმაგრონ. ეს ბრძოლა ინგლისელებს უსაზღვროდ ძვირად უჯდებათ და ახლავე ისეთს მდგომარეობაში არიან, რომ არ იციან რა ჰქმნან. ასე რომ, თუნდაც 500,000 კაცი კიდევ სხვა გაგზავნონ, მაინც ვერაფერს გახდებიან. პირ-იქით, მათს დამარცხებას ერთიორად გაძლიერებს და იძულებულნი იქმნებიან შიმშილით ამოიხოცნენო.

— „Journal des Dèbats“ დონდონელი კორესპონდენტის სიტყვით, სამხრეთ-აფრიკიდგან კერძო წერილები მიუღია, რომლებიც ინგლისელთა მდგომარეობას მეტად უნუგეშოდ თურმე ჰსახავენ. ომის მალე გათავების იმედი ახლა ალარავისა აქვს. ინგლისელების პატარ-პატარა გამარჯვებანი გერრას გახდებიან, რადგანაც ბურები წარმეუფლს ადგილებს ისევ უკან იბრუნებენ და საშუალება არა აქვთ ადებული ადგილები შეინარჩუნონ, საკმაო ჯარები ჩაუყენონ. ამ პირობებში ვერავითარი მხედრობა ვერ გაიმარჯვებს. ჯარის-კაცნი უზომოდ დაღლილები არიან, შინ დაბრუნებას ცის მანანასავით ნატრობენ და ახალი ჯარი-კი ვედარსად მოუგრებიათო. კიდევ არა უშავდათ-რა ინგლისელებსა, რომ შეეძლოთ ერთი დიდი ბრძოლით საქმე საბოლოოდ გაეთავებინათ, მაგრამ ეს სრულიად შეუძლებელია, რადგანაც ბურები ამას დიდად ერიდებიან და პატარ-პატარა შეტაკებას და მოუდოდნელად მტერზედ თავს-დასხმას არჩევენო ისევ. ინგლისის სამხედრო სამინისტროს შიში აქვს ამ გაჭირვებულმა მდგომარეობამ კიდევ მთელი წლები არ გასტანოს და უარეს მდგომარეობაში არ ჩავარდეს. ჩვენ რომ გვცოდნოდა, ბურები ასეთს ხანგრძლივსა და სასტიკს წინააღმდეგობას გაგვიწევდნენ, მაშინ ომი არ მოგებულიყო.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

გასაოცარს ამბავს გადმოგვცემს ერთი ამერიკული სამკურნალო ჟურნალი. მუშაობისაგან დაღლილი მუშა რკინის გზის ლიანდაგზედ ჩამომჯდარა. მუშას რამდენისამე წუთით დასვენება უნდოდა მხოლოდ, ძილი სრულიად არა ჰქონია განზრახული, მაგრამ დაღლილობას თავისი ვაუტანია და მუშას უნებურად ჩასძინებია. მეტად ღრმა ძილს მოუცავს მუშა, რადგანაც ალარ ახსოვდა, რა შეემთხვა შემდეგ, ხოლო გასაოცარი რამ კი შემთხვევია. უპირველეს ყოვლისა გამოღვიძებისას სიცივე უგრძვნია —უკვე გათენებულიყო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მუშა მიწაზედ წამოწოლილი ყოფილა, წინა დღეს-კი რელსზედ დამჯდარა. როდესაც სრულიდ გამოფხიზლებულა და მიუხედ-მოუხედნია, დაუნახავს, რომ იმის მარცხენა მკლავს არა ჩვეულებრივი რამ დაჰმართებია: დაუნახავს, რომ მკლავი რელსზედ ყოფილა გარდიგარდმო გადებული და იმასაც მიმხვდარა, რომ ზედ მატარებლის თვლებს გადაუვლია. არც მაგრე ძნელი ყოფილა ამისი მიხდომა: მკლავი შუაზედ გადატეხილი ყოფილა, ნახევარი რელსის ერთ მხარეს იყო, ნახევარი მეორე მხარეს და კანით-ღა ყოფილა გადაბმული. გასაკვირველი ის არის, რომ მუშა არავითარ ტკივილს არა ჰგრძნობდა თურმე. მარჯვენა ხელით გაუსინჯნია მოტეხილი მკლავი, გაციებული აღმოჩნდა თურმა. გაუხედნია აქეთ-იქით ლიანდაგზედ, მაგრამ მატარებელი არსადა სჩანდა თურმე. აშკარა იყო, რომ მკლავი კარგა ხნის მოტეხილი ყოფილა და მუშას-კი არაფერი უგრძვნია. გასაოცარიც ეს არის, როგორ ვერ გაიგო მუშამ მატარებლის გავლა და ხელის მოტეხა, ამასთან რატომ არავითარი ტკივილი არ უგრძვნია. განცვიფრებულ მუშას კანით-ღა ჩამოკიდებული მკლავი მარჯვენა ხელით დაუბერია და საავადმყოფოში წასულა. მუშაზედ მეტად მკურნალები გაოცებულან. პირველ ხანს უფიქრიათ, იქნება მატარებელმა ხელის გარდა ტვინიც დაუხიანა, სახელდობრ ის ნაწილი ტვინისა, რომელიც ტკივილსა ჰგრძნობს, მაგრამ დაწვრილებით გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ არსად არავითარი ზიანი არა ჰქონდა. შემდეგ უფიქრიათ, იქნება მუშა მთვრალი იყოო, მაგრამ, როგორც გამოირკვა, იმას თავისს სიცოცხლეში ერთი ჭიქა მაგარი სასმელიც არ დაულევია. მკურნალების გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა. არ გაკვირვებულა მხოლოდ ერთი მკურნალი, უორდი. უორდს განუცხადებია ხშირად შემმჩნევია, რომ რკინის გზაზედ დაშავებულნი ტკივილს ნაკლებადა ჰგრძნობენო. მკურნალის აზრით, ამ შემთხვევაში დიდი გავლენა აქვს ადამიანზედ ლიანდაგის რყევას, რომელიც მატარებლის სიარულს მოსდევს შედეგად. ზემოხსენებული მოვლენა, უორდის აზრით ასე აიხსნება: მუშას ლიანდაგის მახლობლად ღრმად ეძინა. მატარებელმა შორიდგანვე დააწყებინა რყევა რელსებს;ვიდრე მატარებელი გაივლიდა, მუშის სხეული ამ რყევის გავლენის ქვეშ იყო; ამ გარემოებამ კი გაუორკეცა ძილი იმდენად, რომ ტკივილი უგრძნობელი გახდა იმისთვის. მკურნალი ამტკიცებს, რომ რყევას ხლოროფორმის მაგვარი გავლენა აქვს კაცზედ, ე. ი. უგრძნობელს ჰყოფს იმის სხეულსაო. შესაძლებელია, ამბობს მკურნალი, გაკეთდეს ისეთი მანქანა, რომელმაც მკურნალობას ხლოროფორმის მაგივრობა გაუწიოსო.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

20 ივნისი.

ნიუ-იორკი. დღეს ძალიან ცხელი დღე იყო; არავის ახსოვს ასეთი სიცხე მანხატანსა და ბრუკლინში. შუადღის პირველ საათიდგან 3 საათამდე 62 კაცი მოკვდა ხიცხისაგან: მზემ დაჰკრათ. ბევრმა ქარხანამ მუშაობა შეაჩერა და ბევრი მალაზია დაიკეტა. საავადმყოფოები საესეა ხალხით. 19,000 კაცამდე წარსული ღამე გარეთ გაატარა. როგორც უკვე შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, წარსულ 24 საათის განმავლობაში ფილადელფიაში 25 კაცი მოკვდა, ხოლო პიტსბურგში—40 კაცი.

კამპენი. კრიუგერი დილას აქედგან გილბერსუმში წავიდა.

ლონდონი. ლიბერალთა დასის კრება 26 ივნისისათვის არის დანიშნული. წინადადება იქნება შეტანილი იმის შესახებ, რომ კემბელ ბანერმანს ნდობა გამოეცხადოს.

სიმლა. როგორც სიკიმის (ტიბეტშია) სამთავროს საზღვრიდგან იუწყებიან, გამოქვეყნებულ იქმნა განცხადებათა შემწეობით ჩინეთის იმპერატორისა და ქვრივის იმპერატრიცის ბრძანება. ბრძანებაში ნათქვამია, რომ ევროპიელმა სახელმწიფოებმა გაიმარჯვეს ჩრდილოეთ ჩინეთშია; შემდეგ მოხელეთ ნაბრძანები აქვთ დაიცვან სიცოცხლე მისიონერებისა და იმ ჩინელებისა, რომელთაც ქრისტიანობა აქვთ მიღებული.

ტროტზე. ადმირალი მაკაროვი, „ერმაკის“ უფროსი, აფიცრები და ზღვაოსანნი, აგრეთვე მონაწილენი ექსპედიციისა, რომელიც ჩრდილოეთ პოლიარულ ოკეანეს გამოსაკვლევად მიდის, გულითად მოკითხვას უთვლიან ნათესავთა და ნაცნობთ. ყველანი კარგად არიან.

ლეიპციგი. მატყლის ვაჭარმა შვენდლერმა ცვიკაუში დაიხრჩო თავი; თვით მკვლელობის მიზეზად ლეიპციგის ბანკის გაკოტრებასა სთვლიან.

ვარშავა. ნოვი დვორის ქალაქის მოურავმა პლიუშჩმა განიზრახა ცოლის მოკვლა; მიზეზი ეჭვიანობაა. პლიუშჩმა სამჯერ ესროლა რევოლვერი; მკვლელობას ხელი შეუშალეს. პლიუშჩი დააპატიმრეს და საქმე გამომძიებელს გადასცეს.

ვარშავა. მენდელ ლიბერმანი, რომელიც 62 ათას მანეთის მოპარვაში მონაწილეობას იღებდა, ბერდიჩევში დააპატიმრეს და ვარშავაში მოიყვანეს. ლიბერმანი გამოტყდა. იმის საქმეს პეტერბურგში განიხილავს სასამართლო.

21 ივნისი

პეტერბურგი. 20 ივნისს მოხდა ნათლობა ახლად დაბადებულის დიდის მთავრის ნინა გიორგის ასულისა.

გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება იუნკერთა სასწავლებლების გადაკეთების შესახებ.

20 ივნისს გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი გენ.-ად. გრაფი ლ. ლ. გეიდენი.

კიევი. მაისში სეტყვამ მცხოვრებთ 100,000 მანეთის ზარალი მოუტანა.

ცეტინიე. გუსინის ოლქის ქრისტიანენი საშიშ მდგომარეობაში არიან. ამბობენ, ოსმალებმა სოფელი ბრეზვიცი დაიჭირეს და გარეკეს იქიდგან ქრისტიანენი, მათ შორის დედაკაცები და ბავშვებიცაო. განდევნილთა უმრავლესობა საზღვარს გადავიდა ჩერნოგორიაში.

ქაპშტადტი. ბურთა რაზმის უფროსი ფუშე, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა მიწა-ადგილში შევიდა, დრაკონის შთებისაკენ შიდის. ინგლისის ჯარი სდევნის მას, მაგრამ რადგანაც მტერს გაშლილი ადგილი უძევს წინ, ძნელი იქმნება იმის ტყვედ ჩაგდება.

ვაშინგტონი. როგორც მიწადმოქმედების დეპარტამენტის ანგარიშიდგანა სჩანს, ტეხასის შტატში წელს ბამბის მოსავალი ორის პროცენტით უკეთესი ყოფილა.

პეტერბურგი. „სამისიონერო მიმოხილვის“ ივნისის წიგნში დაბეჭდილია შემდეგი წერილები: „ახალი ახსარება გრაფის ლ. ნ. ტოლსტოისა: რამდენიმე შენიშვნა“, ვ. სკვორცოვისა.—პასუხი სინოდის 20—22 თებერვლის დადგენილებისა და იმ წერილებისა, რომლებიც ამის გამო მივიღე“, ლ. ტოლსტოი.—„მართლმადიდებელ ეპისკოპოზის აზრნი გრ. ლ. ტოლსტოის „ახალ ახსარების“ წაკითხვის შემდეგ“. სერგი, იამბურის ეპისკოპოსი.—„ღია წერილი გრაფ ტოლსტოის იმის თაობაზედ ყოფილისაგან უწმ. სინოდის პასუხის გამო“. მ. ა. ნ—ვი; და წერილი ინგლისურიდგან გადმოიარგმნი-ი ამ სათაურით „ტოლსტოი“.

პრაბა. პრაგა აღტაცებულია „სოკოლთა“ დღესასწაულზედ ნამყოფის გენ.-ლეიტ. რიხტიხის წერილისაგან, რომელიც გენერალს წასვლის დროს ქალაქის საზოგადოებისათვის გაუგზავნია. წერილი შემდეგის შინაარსისა: „სალამი ჩეხებს! მოვედი სლავიანთა შორეულ აღმოსავლეთიდგან. ცივ ჩრდილოეთის დაბურულ ტყეებისა და შავის ზღვის დაუსრულებელ კლდიდგან. მოვედი ჩვენის რუსულის სიყვარულის გამოსაცხადებლად და იმის სათქმელად, რომ შეუძლიანთ სრული ნდობა იქონიოთ რუსეთის ძლიერების მიმართ მაკრამ ამასთანავე მოვედი მოგაგონოთ, რომ შეისწავლოთ და გაიცნოთ ეს განუზომელი რუსსლავიანთა მიწა-ადგილი. იქ ჰპოვებთ ყველა იმას, რასაც ეძებთ და რის იმედიცა გაქვთ, ჰპოვებთ იმაზედ მეტსაც, რასაც ეძებთ; ჰპოვებთ დაულეველს სიმდიდრეს და სამრეწველო პროგრესს. მაგრამ ამასთან ჰპოვებთ და გაიგებთ აგრეთვე აქ ხალხში ძალასა და თვითცნობიერებას; ჩვენში ყველაფერი ხალხისთვის კეთდება, ყველანი ხალხს ემსახურებიან. ჩვენი თვითმპყრობელი ხელმწიფე ხალხის მიმართ სიყვარულით ისევეა გამსჭვალული, როგორც ბოიარინი, როგორც მდიდარი და ღარიბი. ხალხის მიმართ ამ საყოველთაო სიყვარულშია ჩვენი ძალა შინაგანი ძალა, იქ საკმაოა უმნიშვნელო მიზეზიც, რომ მან თავი იჩინოს. მარტო ფიზიკური ძალა არ არის ესა, იგი ზნეობრივიცაა, თანამგრძნობი ყველა ჩაგრულისა, იმის საშველად მუდამ მზად მყოფი. გაიცანით მხოლოდ უფრო ახლო რუსეთი და თქვენ, ჩეხები, გაიგებთ, სადაა წყარო სლავიანთა ძლიერებისა. გულით ვისურვებ, რომ ღმერთს აღიდგინოს ჩეხთა ერი, განემტკიცებინოს მისი თვითცნობიერება, გაეფართოებინოს იმისი განათლება და ენა და მიენიჭებინოს ყოველივე სიკეთე, რასაც მიაღწევს კიდეც მაშინ, როდესაც იმისი ვაჭრობა ადრიატიკის ზღვიდგან დიდ ოკეანემდე გასწვდება. ამინ, გეტყვით თქვენ, გწამდეთ და დაენდეთ რუსთა ქვეყნის ღმერთს; დიდებულია იგი: იმან შეჰქმნა ჩვენი ძლიერი სლავიანთა რუსეთი“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Іюня 1901 г. სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ფორის-შეფიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე